ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 360. კვირა, 24 ივლისი 1911 წ. დამატების № 63

ცოცხალი ლოძოლ. ნახატი კ. ჭავთარაძისა.

კესო

(შემდეგი *)

— გათავდა მამა, ახლა კი აღარ დავდგები. ხვალ უნდა ბებიასთან წავიდე,—სთქვა ბავშვმა გადაწყვეტით, აღარ მოეერიდა იქვე მდგომ დედინაცვალს.

— წადი შვილო, გაახარე საწყალი მოხუცი შენი მისვლით, რამდენი ხანია მივატოვეთ და აღარ გვინახავს.—უთხრა მამამ ამ დროს პატარა სერგოც მოვიდა იმანაც კარგი ნიშნები მოიტანა, მხოლოდ ანგარიშში სამარიამობო „ეგზამენი“ მიეცათ. მშობლებს ეწყინათ ეს გარემოება.

— რა უყოთ მერე, ჩემთან წამოვიდეს სოფელში და ისე მოვამზადებ სულ ხუთებით გადადიოდეს — სთქვა კესომ.

— გამატანეთ ჩემ ბებიასთან ღმერთმანი ისე მოუვლი ისე რო, ცივ ნიავსაც არ მივაკარებ.

— წამევიდეს შვილო, თუ მოხუცს არ შეაწუხებთ.— უთხრა მამამ.

შემდეგ ცოლ-ქმარმა მოილაპარაკეს: „მასწავლებელის დაჭერა ძვირი დაგვიჯდება, ისევ ცოტა რამ საგზალი გავატანოთ და გაუშვათო“.

როგორც კესოს ეგონა, ისე ჩქარა ვერ მოეწყო მათი სოფელში წასვლა. გარსევანმა ორი მგზავრობა კიდევ მოია.

სამრევლო სკოლის შენობა და მოწაფენი.
სოფ. ავლევში თ-დ კ. ს. ამირეჯიბის მამულში, განზრახულია ეს სკოლა სამეურნეო სკოლად გადააკეთონ.



ცხენის ფოცხი
(ს. ავლევი, თ-დ. კ. ს. ამირეჯიბის მამულში).

— ააააა გარსევან, გარსევან! რავა ჩემსავით დაბერებულხარ შე კაი კაცო. საით, ჩვენსკენ გამოსწიე. მოესალმა ვილაცა მაღალი მხარ-ბეჭიანი, ნაცრის ფერი შინელით, ძველი პაგონები უმშვენებდა განიერ მხარ-ბეჭს, რუსულ კარტუზიან ქუდს სიძველისაგან თითქოს კეფაზე ეუჭყი და ქონ ეტყობოდა.

— თქვენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა, კნიაზო. თქვენ რა მიგიგავთ დაბერებულს და მე-კი დავბერდი თქვენი ბრძანების არ იყოს.—მიუგო გარსევანმა.

თავადმა ქუდი მოიხადა, ოფლიანი სახე დიდი წითელი აბრეშუმის ცხვირსახოცით მოიწმინდა, ქუდით დაინიავა დასაგრილებლად, მას პატარა ქალ-ვაჟი მოჰყვა ორივ გემნაზიის ფორმაში იყო გამოწყობილი. ამათ უკან მოსდევდა კურტნიანი მუშა. კურტანზე რაღაც ბარგი ელაგა.

— იაგორ, ეს კალათი მაქ დეიდგი წინ თუ კაცი ხარ, ეს ფუთა ზეით შევდვათ, ნადო, არა?

— შეეკითხა ქალს.

— კარგი პაპა. — მიუგო ცქრიალა გემნაზიელმა.

— გრიშა! წამოდი.—დაჰკრა ხელი ხელზე ძმას და გაიქცა დელეჟნის კარისკენ რომ ჩამჯდარიყო დელეჟანში. ძმამ თვალი უყო, ანიშნა ნუ ცელქობო, დინჯათ შეხედა დარბაისელ მამას და მერე დინჯადვე გადახედა გვერდით მდგომ კესოს.



ულაყი „ბედუინი“ 15 წ. ხელზე გაზდილი, არდენის ჯიშისა.
(თ-დ კ. ს. ამირეჯიბის მამულში, სოფ. ავლევში).

კესოს უეცარმა სიწითლემ გაჭკრა სახეზე, პირი იბრუნა გვერდზე. მერე მამას მიუბრუნდა.

— ჯერ არ წავა, მამა, დელეჟანი?

— ჩქარა, ჩქარა წავალთ ბარიშნა!—გადმოსძახა მედელეჟნემ. რომელიც ცხენებს ხამუთებს უსწორებდა. რამდენიმე მგზავრი კიდევ მოემატათ. ბარგი-ბარხანი დელეჟნის თავზე დააწყეს. ყველას მოუთმენლობა ეხატებოდათ სახეზე, უნდოდათ ჩქარა წასვლა, პაპანაქება სიცხისგან თავის დახწევა.

— აპა, ბოვშვებს აგზავნი სიდედრთან? ძაან კაი გიქნია, კარქია ახლა სოფელში. გვრიტებივით ჩევიყვანთ.— კიდევ გამოელაპარაკა თავადი ფარნაოზი გარსევანს.

— იაგორა, პეტერეი დოუჩქარე, ბიძია, თვარა დაგვალამდება—შესძახა.

*) იხ. სურათებიანი დამატება № 62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩაბრძაით, კნიაზო, ჩაბრძაით. მუშტარს კი უცდიდი, მარა თქვენ რავა გაწყეინებთ.—ბიეფერა პირში. კესო და სერგო გამოეთხოვენ მამას. ყველამ თავისი ადგილი დაიჭირა, მედელეენემ შეუშტვინა ცხენებს.

— იოფშკიიი...—დასძახა, დამხდარი ცხენები დაირეკა და დანჟღრეული დელეჟანი ჯიჯგინით გარახრახდა ქალაქის მოკირწყლულ ქუჩებზე. ჩქარა დასტოვეს მტვრიანი ქალაქი, გაუდგნენ განიერ გზა-ტკეცილს, გზის ნაპირებიდან იწყებოდა თვალ უწვდენი მინდორ-ველი, გადამწვანებული ყანები. გზაში მგზავრებიც ხვდებოდათ ცხენოსანი, ეტლით თუ ქვეითი.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ ფარნაოზმა დაარღვია სიჩუმე, მგზავრები ალაპარაკდნენ, ზოგი რას ამბობდა ზოგი-რას, საერთო ლაპარაკს არც ახალგაზრდები ჩამორჩნენ და ჩქარა გაიცნეს ერთმანეთი.

შუა გზაზე, ერთ სოფლის დუქანთან დადგა დელეჟანი, იქ იყო დასასვენებელი ადგილი. მგზავრები გადმოხტნენ, ფარნაოზმაც გადმოსხა ბავშვები. მედელეენემ ცხენებს წყალი დაალევინა. რამოდენიმე დუქანი იყო მშვენიერი ხის

ექსკურსია ჯვარცხმისა და ბასილეთის (გურიაში) სასოფლო სკოლის მოწაფეთა და მათ მასწავლებელთა.

სკამ ლოგინებით მგზავრების ჩამოსასხდომად. წინსაფარ აფარებული მედუქნეები იპატიჟებდნენ მგზავრებს ლუდზედ, სადილზედ და ვისაც რა უნდოდა. დუქნების მარჯვნივ იწყებოდა მშვენიერი ტყე, პატარა ოთხ კუთხი კაცის ხელით გაშენებული საფარი, თითქმის ცათამდის აელწია წერწეტა წიფელს მუხას, თელას და სხვათა, ქოლგასავით გაეშალათ განიერი მკლავები, მჭიდროდ გადახვეოდნენ ერთი-მეორეს, ელობებოდნენ წინ ცოცხალ მზის სხივებს, რა არის ერთი სხივიც არ დასცემოდა დედამიწას და არ ეცვალა ფერი ხავერდივით მობიბინე მწვანე ბალახისათვის. ტყეში გრილოდა, ქალაქის მტვერში სულ შეხუთვილმა ყმაწვილებმა ტყის დანახვაზედ თავისულად ამოისუნთქეს, ნუკრებივით გაცქრიალდნენ, შემოირბინეს იქაურობა. ცოტა ხნის შემდეგ, დელეჟანი მზად იყო წასასვლელად, მგზავრები მხოლოდ ბავშვებს ელოდნენ. კესო, სერგო, ნატო და გრიშა, გზის პირას მაღალ ჭასთან იდგნენ და ცივი წყლით იგრილებდნენ გახურებულ გულს. გრიშას სარწყული ეჭირა და ასმევდა დანარჩენთ. უკანასკნელად კესოს მიაწოდა.

— თქვენ მიირთვით, მე მერე დავლევ.—უთხრა კესომ მორცხვად.

— არა, არა.—უთხრა გრიშამ და რალაცნაირად შეხედა, თითქოს სთხოვდა: „ნუ გამიტეხ ხათრს, დალიეო“. კესო დაიძახა და დალია. გრიშას ხელი აუკანკალდა სარწყულის სიმძიმისაგან და კესოს ცოტათ კაბის კალთაზე გადეღვლო კესოს წყალი. კესო უფრო დარცხვენილი გაიქცა დელეჟანისაკენ, გრიშამ ორი ყლაპი გადაჰკრა და ისიც გამოუდგა უკან.

საღამოს ჩამავალი მზე, უკანასკნელად ევლებოდა ეკლესიის მაღალ გუმბათს, როდესაც დელეჟანი სოფელში შევიდა დელეჟანი დადგა ძველ ნაცნობ დუქნის წინ. მგზავრები გადახტნენ. კესომ ჩამოართვა ხელი ახალ გაცნობილ მეგობრებს, ზრდილობიანად დაუკრა თავი თავად ფარნაოზს და ჩქარის ნაბიჯით გასწია თავის აღმზრდელ ქუჩებისაკენ. ცალ ხელში ბოღჩა ეჭირა და ცალში პატარა სერგოს ხელი, მიდიოდა და გული ჩიტივით უფართხალებდა; ეი ეს შარა საცა ყოველ დღეს დადიოდა. ის ბაბილინას სახლი. ისიც ნატოსი. თავის საუკეთესო ამხანაგებისა. ისიც მღვდლის სახლი ხავსიანი სახურავით, წითელი ხბოები ისევ ისე სძოვენ ეზოში როგორც მაშინ. გზაში ვინც ხვდება ყველას იცნობს, ყველას სალამს აძლევს მიდის გახარებული, კესოს გულში გაზაფხული იფურჩქნება.

თავად ფარნაოზს მოჯამაგირე დაჰვდა ბარგის წასაღებად. პატარა კნიაზენამ კოხტად გაასწორა კაბა, ქუდი, როგორლაც გაყრუებულ ძმას მკლავი დაუჭირა და თავმომწონედ გაჰყვა მამას გვერდით.

— გრიშა! შენ არ გიხარია, სოფელში მოსვლა?

ჰკითხა ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— ვინ გითხრა რომ არ მეხარება?

— მაშ მოწყენილი რათა ხარ?

— დავიღალე.—სთქვა გრიშამ, და თვალი გაადევნა, წინ, შორს მიმავალ კესოს. კესოს წითელი კაბა, საღამოს ჟამზედ შავათ მოსჩანდა.

— „ნეტაი ჩვენთან ერთად წამოსულიყო, რას დაიჩქარა ბოღჩის წაღება, თუ შერცხვა. მე წავიღებდი, ღმერთმანი ნეტაი მამამ აუჩქაროს ფეხს და დავეწიოთ, იმ წამსვე გამოვართმევ იმ ფუთას.—ფიქრობდა გრიშა და ჩქარ-ჩქარა ადგამდა ნაბიჯს.

აგერ კესო ერთს ადგილს შესდგა, თხრილზე გადახტა, სერგოც გაიყვანა, ლობეზედ გადვიდა და ტყეს შეეხია, გზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიმოკლა, რათა მალე მივიდეს საყვარელ დიდედასთან და გრძნობით ჩაეკრას თავის აღმზრდელ, უკვე დამჭკნარ ძუძუებში. კესო თვალთაგან მოეფარა. პატარა თავადს რაღაც მოსწყდა გულიდან და მეტად მოდუნებული მძიმედ დააწვა დის მკლავს.

5

თავადი ფარნაოზ ლევარსამიძე სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი ცხოვრობდა ცოლის მამულში, სოფლის ბოლოს, საცა სოფელი თავდებოდა და ცოტა მანძილის შემდეგ იწყებოდა მეორე სოფელი. ფარნაოზი თითქოს ორივე სოფლის მესაზღვრეთ შუაზედ იყო გაჩხერილი, ყველგან განმარტოებით გამვლელი იფიქრებდა: „ეს მოსახლე როცორლაც თავის ადგილზე ვერ არისო. გზის პირას, პატარა სოფლის გადაღმა, ორ დიდ კაკლის შუა, გამოქიმული იდგა დიდი ნაცრის ფერი ოდა. სახლი დიდი იყო მაგრამ შიგ კი არა იყო, გრძელი ტახტების ძველის ფარდაგ ხალებით დაფენილი, უხეირო მაგიდების და მძიმე ხის სკამების მეტი. გარეთ სამზარეულო, საქათმე, საბატე, თუ საღორე პატარა ქალაქივით იყო გაშენებული, სმა ჭამა საჭირო იყო და საქონელსაც ბღვრს ზრდიდა კნეინა. უბორვილო აივანი გაჭყურებდა შორს საყანე მინდვრებსა, აქედან შეეძლო თავადს, ედეენებინა თვალი ვინ როგორ მუშაობდა ყანებში. სცხოვრობდნენ უმეზობლოდ, რადგან არავის ეხერხებოდა იქ მოსახლეობა.

კნეინა რებეკა სოფ. როდაბის აზნაურის ქალი იყო. მამა, ძმები, სულ ყველა დაეხოცა. უკანასკნელს ხანს, ერთის ბიძის სიცოცხლეში წაჰყვა ფარნაოზს, უმამულო, ხანში შესულ თავადს, რომელიც დროთა ბრუნვის მიზეზით უარაოაოდ დარჩენილიყო, ჩინი ჰქონდა, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს დამსახურებული, მაგრამ ცარიელი ჩინი რა კუჭს გაუძღებდა, რაღაც ცხრა თუმანსა და ექვს მანეთს იღებდა წლიურ პენსიას. ერთ თვეს ერთ ნათესავთან ატარებდა მეორეს-მეორესთან, ამ რიგად მიდიოდა მისი ხანში შესული ყმაწვილ-კაცობა. ნათესავებმა მოინდომეს, ხელი შეუწყვეს და ათხოვინეს მამულიანი ქალი, რებეკა. მიმინო, ძაღლი და თოფი, ეს იყო ფარნაოზის შესაქცევი საგანი. სტუმარი უყვარდა და თავადაც დადიოდა სხვებთან. მამა პაპათა მოსახლობაზე რვა წელიწადი კიდევ დაჰყო რებეკამ. თავის დახოცილ წინაპართ, სამი შვილი კიდევ მიუმატა. ცოლ-ქმარი საგონებელს მიეცნენ, ვაი თუ ჩვენც დავიხოცოთ და ამდენი მამულ-დედული, სახელმწიფო მამულად შაერიცხოს უმემკვიდრობის მიზეზითო. ყველგან იკითხეს უბედურების მიზეზი, ყველას შესჩივლეს თავისი ბედი. ნათესავები ურჩევდნენ, მოსახლობა გამოიცვალეთო.

უკანასკნელ ხანებში რამოდენიმე მკითხავთან თავის ფეხით წავიდა ფარნაოზი. ყველამ ერთნაირად დაჰკრეს კვერი. ერთმა მკითხავმა უთხრა: „ეხლანდელი თქვენი ფუზე *) ნაცოდვარია, ყმობის დროს შიმშილობა რომ ყოფილა. თქვენს ეზოში ერთ დას ჭინჭარი უნახავს, დაუწყია კრეჭა. ძმას ეს ჭინჭარი დაგულებული ჰქონია და მისულა დასაკრეფად, უთქვამს დისთვის: ეს ჭინჭარი ჩემია და ჩამომეცალეო.“ დას არ დაუთმია, მაშინ ძმას ქვა დაუკრავს და მოუკლავს, იქვე დაუმარხავს, იმ დღიდან დაწყებულა ის ფუზე, და ვერავინ გაიხარებს იქო“. ცოტა არ იყოს, ეს სიტყვა ჭკუაში დაუჯდა, რადგან ეს ამბავია თავადაც გაეგონა. მეორემ უთხრა: „წმინდა სერგეთის მოზვერი გმართებს. უწინ შენი ცოლი სერგეთის მლოცველი ყოფილა, დაუნებებია თავი და სხვა ხატის ლოცვა დაუწყია. ალოცავი გამწყრალა, ახლა ხატი თავის საწირავს თხოულობსო“.

ბევრ ასეთ სისულელით გამოუჭედეს ყურთა-სმენა ფარნაოზს. თავი მიზეზი კი ის იყო, ეზო ძალზე ჭაობიანი იყო, ციებ-ცხელება სადგურობდა ზამთარ-ზაფხულ და ხოცავდა ხალხს. ეზოს გამოცვლამ არგოთ. მშრალ ადგილზე დასახლდნენ. იქ გაუჩნდათ ნადო, გრიშა და გაეზარდათ კიდეც.

ამ ხანში სხვა დრო დადგა, სხვა ხანამ უსწრო. ცხოვრება გამოიცვალა და სხვა ხასიათი მიიღო. სოფელი და ქალაქი ერთმანეთს დაუახლოვდა. სწავლა-განათლების შუქი ნელ-ნელა შეიჭრა სოფლის ჩაკეტილ კარებში, გაანათა იქაურობა და ყველას აღუძრა თვალის გახელის და მონების ამუშაკების სურვილი. ხალხი ცოდნის შეძენას დაეწაფა. ამ საერთო, სასიკეთო ნაბიჯს კაცობრიობისას არ ჩამორჩნენ ფარნაოზი და რებეკაც. ბავშვები საგუბერნიო ქალაქში წაიყვანეს და მისცეს სასწავლებლებში. ნადო საქალებო წმინდა ნინოს „ზავედენიის“ მეხუთე კლასის მოწაფე იყო და გრიშა კი ქართულ გიმნაზიის მეოთხეში უნდა გადასულიყო, რუსულში ჩაიჭრა და სამარიამობო „ეგზამენით“ მოვიდა სოფელში.

ძვირფას შვილების მოლოდინში რებეკამ ადრე დაამზადებინა ვახშამი. თავად ახალ ლეჩაქ გადაფრიალებული, ცოტა შეხუნებული, აქა-იქ, გამომწვარი კაბით და ხელში კრიალოსნით ეზოში, მიეგება შვილებს. ჯერ გრიშა ჩაკოცნა, როგორც ვაჟი და თვალის ჩინი. მერე ნადია, შემდეგ ქმარს მიესალმა და უსაყვედურა.

— ორი დღეა თვალები გამომითეთრდა თქვენს მოლოდინში და შენ რას უჯექი ამდონხანს იქ?

— მამა ცხონებულის შვილო. ასე გგონია თუ ვქეიფობდი. საქმე იყო თვარა, სასიამოვნოა ასეთ ქარ-სიცხეში ქალაქის ადგილზე ყოფნა? თვალებს მტვერი მივსებს და პირს ბუზები.—უთხრა ფარნაოზმა, დაღლილი ჩამოჯდა აივანში სკამ ლოგინზე და დამტვერიანებული ფეხი მოჯამაგირეს გაუწოდა.

— გამაძვრე ერთი, ბიძია, დამამტვრია ფეხები.

— თქვენ რავა ხართ, თქვენ გენაცვალოთ დედა? რა ქენი, შვილო, ხომ გადადი?—მიუბრუნდა გრიშას. — გადევიდა, ღმერთი შეარცხვენს მაგის თავს,—ჩაილაპარაკა ფარნაოზმა უსიამოვნოდ და ეხლა მეორე ფეხი მიაწოდა ბიჭს. რებეკას ფერმა გადაჰკრა და შეშინებული შეაჩერდა შვილს. გრიშამ არა უთხრა რა და განზე დაიწყო ყურება. ნადომ არ დაუცადა უსიამოვნო ლაპარაკს. შევიდა სახლში, ჭუდი მოიხადა და ფრთხილად დასდო დიდ მაგიდაზე. ერთს წამს მოათვალიერა იქაურობა. უკან აივანში გავიდა, კიბეზე ჩაირბინა და სამზარეულოს კარებს მიადგა. ახალგაზრდა მაშიკოს ოთხი ვარია აეგო შამფურებზე და ცეცხლს უფიცხებდა. ახალ-გაზდების ჩამოსვლით გახარებულმა, ღიმილით დაუკრა თავი ნადოს და ისევ განაგრძო თავისი საქმე.

(შემდეგი იქნება)

მ. გარიყული.



*) სამოსახლო ადგილს ეტყვიან.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი. მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი“